ექსპერიმენტების ხანა

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 18 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) – „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:1 (0:0).

„დინამო“: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, რეხვიაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ხართიშვილი (ილიადი), ნოდია, ბარქაია, ასათიანი, (დათუნაშვილი), მესხი.

„ლოკომოტივი“: პოლიაკოვი, ბასალაევი, პრუდნიკოვი, კოჩეტოვი, როდიონოვი, უსატორე, ორეშნიკოვი, დავიდოვი, შელუდკო, პეტროვი, კოროტკოვი.

მსაჯი ლ. სარქისოვი (სოჭი).

წაგება მუდამ დასანანია, თუნდაც ორმხრივ საწრთვნელ მატჩში. აქ კი დაიწყო ზამთრის ოფიციალური ტურნირი „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე. შედგა პირველი მატჩი და თბილისის „დინამოს“ უკვე პირველი დამარცხება აქვს. ისიც არა ფავორიტთან, არამედ „ა“ კლასის საშუალო გუნდის – მოსკოვის „ლოკომოტივთან“.

მაგრამ ნუ ვიჩქარებთ ნაადრევი, შორი დასკვნების გამოტანა იქნება ეს ოპტიმისტური თუ, პირიქით, უიმედო, ჩემპიონატის დაწყებამდე თვენახევრით ადრე მიზანშეუწონელია.

ჯერ ერთი, ამ „საშუალო“ გუნდმა, ჩვენმა მეტოქემ ძალიან კარგად ითამაშა ყოველ შემთხვევაში, გვიჩვენა მაქსიმუმი იმისა, რაც მას შეუძლია ამ პერიოდში. „ვარსკვლავები“ რკინიგზელთა შორის არ არიან, რომელიმე ერთი, ავტორიტეტის ტვირთი პარტნიორთაგან არავის აწევს ზურგზე. ამიტომ თითოეული ფეხბურთელი გრძნობდა პასუხისმგებლობას და არ ერიდება საკუთარ თავზე ინიციატივის აღებას. გუნდი თამაშობს კოლექტიურად, მთელი ენერგიით, ძალზედ სწრაფად. სწორედ თავდამსხმელთა სწრაფი გადანაცვლებისა და თავისუფალ ადგილებზე გასვილს წყალობით შექმნეს რკინიგზელებმა მთელი რიგი სახიფათო მომენტები „დინამოს“ კართან. ამას გარდა, დაცვა უკიდურესად ყურადღებიანია და უქმად არასოდეს დგას.

ნაადრევი დასკვნების გამოტანა, ვიმეორებთ, სწორი არ იქნება, მაგრამ რამოდენიმე შენიშვნა ჩვენს ფეხბურთელთა მიმართ მაინც გვაქვს.

ადვილი შესამჩნევი იყო, რომ დინამოელები ახალ ტაქტიკურ ვარიანტს ამუშავებდნენ. ჩვენი აზრით ესაა სისტემა 4 – 3 – 3. მესამე ნახევარმცველის როლში მოგვევლინა ძველი, გამოცდილი თავდამსხმელი ბარქაია. ამ მოთამაშის ტაქტიკური აზროვნება და კომბინაციური ალღო ცნობილია, ამიტომ გამთამაშებლის ფუნქციები მან უნდა შეასრულოს კვალიფიციურად, როგორც წესი და რიგია. მაგრამ ნახევარდაცვაში ახლა თბილისელთა შორის თამაშობს მისი ახალი წევრი კუტივაძე, ცნობილი თავისი შესანიშნავი დიაგონალური, გრძელი გადაცემებით ფლანგებზე, მოულოდნელი კომბინაციებით, კარში შედეგიანი დარტყმებით. ამიტომ ბარქაია – კუტივაძის წყვილის თამაში მაქსიმალური ეფექტით, მოფიქრებულად, ყოველი დეტალის გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს, მით უმეტეს, რომ მესამე ჰავბეკი ხართიშვილი ამ დღეს როგორღაც ამოვარდნილი იყო ანსამბლს და ნაკლები სარგებელი მოჰქონდა. მისი მისამართით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არაა სავალდებულო ყველა ბურთი, საჭიროა ეს თუ არა, მიაწოდო მაინცდამაინც მარცხენა ფლანგზე. აქ პრუდნიკოვი ტაქტიკურად სწრაფად თამაშობდა ბასალაევთან ერთად და „დუეტის“ სახით ებრძოდა მესხს.

თბილისელთა თავდასხმას მესხი მეთაურობდა, ეტყობა იგი ფორმაშია, მაგრამ მარცხენა გარემარბს, მის გადაცემებს სათანადო გაგრძელება და დასრულება სჭირდება ცენტრში. აქ კი ასათიანი ერთობ ინდიფერენტულად გამოიყურებოდა. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, იგი ვერც ადგილს პოულობდა მინდორზე, ვერც ხიფათს უქმნიდა „ლოკომოტივის“ კარს. მხოლოდ ნოდიას აქტიურობა კი არ ეყოფა იმ სქემას 3 თავდამსხმელით, რომელსაც „დინამო“ სცდიდა განვლილ მატჩში.

არ იდგა მოწოდების სიმაღლეზე დინამოელთა დაცვაც. აქ ხშირია გაუმართლებელი გადაადგილებანი, დაგვიანება, შეცდომები, სუსტი ურთიერთგაგება. მცველთა აშკარა შეცდომის შედეგი იყო ის გოლიც, რომელიც შელუდკომ გაიტანა 56–ე წუთზე ორეშნიკოვის გადაცემიდან, და სხვა სახიფათო მომენტებიც.

და ბოლოს, კიდევ ერთი შენიშვნა: დათუნაშვილისა და ილიადის გამოყვანა მინდორზე მატჩის 75–ე წუთზე როცა დასასრულს ბევრი აღარაფერი აკლდა, ნაგვიანევად მიგვაჩნია. გარდატეხის შეტანა 15 წუთში მათ ვერ შეძლეს და ეს გასაგებიცაა, – ისინი, უბრალოდ, „ცაიტნოტში“ იყვნენ.

ბ. ქორქია
“ლელო” 18.II.67 წ.